ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" **www.barristers.ge**

ა.ა. #027

საქართველოს პრეზიდენტს,
ბატონ **გიორგი მარგველაშვილს**

<u>ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"</u>
თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7

მ ი მ ა რ თ ვ ა

(საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ნინო გვენეტაძის კანდიდატურის მხარდაჭერასთან დაკავშირებით)

ბატონო პრეზიდენტო,

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" ცალსახად მიესალმება თქვენს გადაწყვეტილებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის არჩევის პროცესში მონაწილეობას ღებულობდეს აქტიური სამოქალაქო ორგანიზაციები და ზოგადად, საზოგადოება, რომელსაც კონსტიტუციით გარანტირებული სამოქალაქო უფლებების გამოყენება, მხოლოდ არჩევნების პროცესში არ უხდება და ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების მუშაობის მიმართ, ნდობას და კონტროლს, აქტიური სამოქალაქო თანამონაწილეობით გამოხატავს. მიგვაჩნია, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ, ამ მიმართულებებით, საზოგადოებას მნიშვნელოვანი მონაპოვარი გააჩნია, თქვენი ინიციატივა კი, გაფართოვდეს ჩართულობის საზოგადოებრივი ველი, აძლიერებს დემოკრატიულ პროცესებს და ხელს უწყობს ევროპული ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბებას საქართველოში. ამის დასტურია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარმოდგენის მიმართ საყოველთაო ჩართულობის ინიციატივა. მიუხედავად იმისა, რომ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებს" შესაძლებლობა არ მოგვეცა, 2015 წლის 15 იანვარს საკუთარი ხედვა წარმოგვედგინა პრეზიდენტის არაამთავრობო ორგანიზაციების კონკრეტულ ჯგუფთან შეხვედრაზე, ჩვენი როლია, აქტიური ჩართულობა გავაგრძელოთ მართლმსაჯულების სისტემის შემდგომი გაძლიერების პროცესთან მიმართებით, რადგანაც პროფესიით ახალგაზრდა ადვოკატებს და როგორც ორგანიზაციას, გაგვაჩნია სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება, პრობლემების კვლევის პრაქტიკა და წინადადებები, არსებული ვითარების ცვლილებებთან დაკავშირებით.

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები" მოგმართავთ, რათა თქვენი კონსტიტუციური უფლების და ინიცირების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ შესთავაზოთ ქალბატონი **ნინო გვენეტაძის** კანდიდატურა.

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 599 010344

„ახალგაზრდა ადვოკატებს" მიგვაჩნია, რომ ნინო გვენეტაძე აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენისთვის საჯაროდ და საზოგადოდ გაცხადებულ/შეთანხმებულ კრიტერიუმებს - **პრინციპულობას, მენეჯერულ თვისებებს, პროფესიონალიზმსა** და **პარტიული ნიშნისგან თავისუფლებას.**

ნინო გვენეტაძეს ქართული მართლმსჯაულების ისტორიაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგანაც 2005 წლის ნოემბერში, ჯერ კიდევ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის რანგში, ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ პოლიტიკური ხელისუფლება იწყებდა მოსამართლეებზე ზეწოლას და მართლმსაჯულების სრულად დაქვემდებარებას. ნინო გვენეტაძე პირველი იყო, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ ყოველთვის, როდესაც საკასაციო სასამართლო იწყებდა საქმის განხილვას და ასეთი საქმეები წარმოადგენდა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების ინტერესს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი თავმჯდომარე, პროკურატურის მითითებით, საქმის განმხილველ მოსამართლეებს კონკრეტულ მითითებას აძლევდა, თუ რა შედეგით უნდა დასრულებულიყო ასეთი საქმეები. მაშინდელ დროში, ნინო გვენეტაძის ნაბიჯი, მხოლოდ პრინციპულობის, პროფესიული ერთგულებისა და საზოგადოებრივი ინტერესების მაღალ გამოვლინებად უნდა შეფასდეს. მედიამ სამართლიანად შეაფასა, მათ შორის ნინო გვენეტაძის პოზიცია, ვინაიდან სასამართლო სისტემაში მოსალოდნელ გამოწვევებს და ხელისუფლების მხილებას, ჯერ კიდევ მაშინდელი მოქმედი მოსამართლეების მეშვეობით, ობიექტურად ეწოდა „მეამბოხე მოსამართლეების" საქმე. ბუნებრივია, ნინო გვენეტაძე სასამართლო სისტემიდან დაითხოვეს, მაგრამ მისი სამართლიანობის, პროფესიული ღირსებისა და სამოქალაქო პოზიციის აღსანიშნავად უნდა ითქვას, რომ გრძელდება სამართლებრივი მოქმედებების განხორციელება საქმიანი რეპუტაციის დაცვისა და სასამართლოს დისციპლინარული კომისიის მიერ მაშინ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისთვის.

ნინო გვენეტაძეს გააჩნია მენეჯერული თვისებები და მაღალი პროფესიონალიზმი. 2005-2015 წლების მანძილზე, აქტიურ მონაწილოებას იღებდა და დღემდე აგრძელებს აკადემიურ საქმიანობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. არის მაღალი რანგის სამართლის სპეციალისტი და არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. მიგვაჩნია, რომ მისი სახელი, გამოცდილება, შეუვალობა და ხედვა იმსახურებს საზოგადოებრივ ნდობას და უპირველეს ყოვლისა, ნდობას სამოსამართლო საზოგადოებაში. ნინო გვენეტაძეს შეუძლია უზრუნველყოს სასამართლოს მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა და ხელისუფლების შტოთა ჩაურევლობა, ვინაიდან მისდამი პროფესიული და პიროვნული ნდობა გვარწმუნებს, რომ არსებობს გამოკვეთილი პასუხისმგებლობა და ამ პასუხისმგებლობის დაცვაც:

- **საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა ქართული მართლმსაჯულების სისტემისთვის ახალი ეტაპის დაწყებას ნიშნავს;**
- **საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან წარდგენილი და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანდიდატურა, პოლიტიკურ მხარდაჭერასთან ერთად, მაღალი საზოგადოებრივი ნდობით უნდა სარგებლობდეს;**

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

- **ახალი თავმჯდომარეს აკისრია ვალდებულება, უზრუნველყოს სასამართლო სისტემის რეალური დამოუკიდებლობა და მართლმსაჯულების რეფორმა;**
- **პოლიტიკური სასამართლოდან სამართლიანი სასამართლოს ჩამოყალიბება, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესში, მთავარი არბიტრის როლის შესრულება;**
- **ახალი თავმჯდომარის პიროვნებამ უნდა განსაზღვროს სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა. სხვა შემთხვევაში, სასამართლო სისტემა კიდევ 10 წლით ჩამორჩება საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას და ევროპულ გამოცდილებას.**

მიგვაჩნია, რომ ნინო გვენეტაძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის, სწორედ ასეთი კანდიდატია. ამასთან, ყველა სხვა კანდიდატისგან განსხვავებით, არსებობს ნინო გვენეტაძის შეხედულება, რომელიც სასამართლო სისტემის განვითარების ერთ მნიშვნელოვან ეტაპს უკავშირდება. ნინო გვენეტაძის შეხედულებაა, სასამართლო სისტემაში შექმნილიყო არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების ცალკე განმხილველი კოლეგია. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ამ მიმართულებით უკვე ხელშესახებ ნაბიჯებს დგამს. მასვე ეკუთვნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილების ინიციატივაც - სასამართლო სისტემაში „პატარა სტრასბურგის" მოდელის შექმნა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში უნდა შეიქმნას სპეციალიზებული პალატა და მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცეთ, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემდეგ, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოსთვის მიმართვამდე, გადაწყვეტილებები ეროვნულ დონეზე გადასინჯონ. ნინო გვენეტაძის საჯარო პოზიციაა, რომ ქართული მართლმსაჯულება განვითარედეს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მაგალითზე, რაც „ახალგაზრდა ადვოკატების" ხედვას სრულად ემთხვევა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ნინო გვენეტაძის სახით, საქართველოს სამოსამართლო კორპუსს, ღირსეული ხელმძღვანელი და მნიშვნელოვანი რეფორმატორი ეყოლება.

*მოგმართავთ, რათა საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგინოთ ქალბატონი **ნინო გვენეტაძის** კანდიდატურა.*

პატივისცემით,
არჩილ კაიკაციშვილი
„ახალგაზრდა ადვოკატების"
ხელმძღვანელი

09 თებერვალი, 2015 წ.
ქ. თბილისი